ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/358769809

ერის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემები

Article · February 2022

CITATIONS
0

READS
93

1 author:

Irakli Gabelia
Caucasus International University (Georgia)

10 PUBLICATIONS **0** CITATIONS

SEE PROFILE

All content following this page was uploaded by Irakli Gabelia on 22 February 2022.

The user has requested enhancement of the downloaded file.

ერის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემები

ირაკლი გაბელია - საერთაშორისო პოლიტიკის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მეცნიერ-მკვლევარი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

თბილისი 2021

აბსტრაქტი

,,ერის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს და ეს ტერმინი მუდმივი განსჯის და გადასინჯვის საგანია აკადემიურ სივრცეში. არ არსებობს შეჯერებული პოზიცია თუ რას წარმოადგენს ერის ფენომენი. ერის მნიშვნელობა პირველად მე-19 საუკუნეში განიმარტა.

ერს თავდაპირველად წარმომავლობის, დაბადების ადგილის აღსანიშნად იყენებდნენ, რაც ამ ცნების მნიშვნელობას სრულიად ვერ გამოხატავდა. საუკუნეების მანძილზე აქტიურად მიდის მსჯელობა თუ რას წარმოადგენს და როგორ უნდა განიმარტოს ერის ფენომენი.

გამომდინარე ფაქტიდან, რომ ერი-სახელმწიფოები თანამედროვე მსოფლიოში და საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითად აქტორებად რჩებიან, აუცილებელია განისაზღვროს ერის მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე.

ნაშრომში გაანალიზებული იქნება ერის, როგორც ერთობის მნიშვნელობა და ყურადღება გამახვილდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხზე, თუ რას წარმოადგენს, ან როგორიცაა ერის ფენომენი

საკვანძო სიტყვები: ერი, ერი-სახელმწიფო, გლობალიზაცია, კვანტური რელატივისტური ნოოლოგია

ერის ცნების დეფინიცია დღემდე პრობლემურია, რადგან არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული და საზოგადოდ შეთანხმებული განმარტება. ერის დეფინიცია პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის აღმნიშვნელი სხვა ცნებების განმარტებასთან, როგორებიცაა: ხალხი, ეთნოსი ან საზოგადოება. ზოგიერთი მკვლევარი ავითარებს მოსაზრებას, რომ შეუძლებელია ერის მეცნიერული განმარტება არსებობდეს. საერთო ჯამში, სამეცნიერო წრეებში ამ მიმართულებით სრული ქაოსია. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ხალხის, ერის, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების შეთანხმებული დეფინიცია. ერის უნიფიცირებული დეფინიციის არარსებობის პირობებში კი ყველა დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ინტერპრეტაცია გააჩნია საკითხის ირგვლივ.

ესპანეთის სამეფო აკადემიის ლექსიკონში 1884 წელს განიმარტა ტერმინ ერის თანამედროვე მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც "ერის" საწყისი მნიშვნელობა წარმომავლობას, დაბადების ადგილს აღნიშნავდა.[1] "ერის" ცნების კიდევ ერთი განსაზღვრება ესპანური აკადემიის ლექსიკონის 1925 წლის გამოცემაში გვხვდება, სადაც იგი განმარტებულია, როგორც "ადამიანთა ერთობა საერთო ეთნიკური წარმოშობით, ენითა და ტრადიციებით".

"ერის" პირველადი მნიშვნელობა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ლიტერატურაში, პოლიტიკური ხასიათის იყო. იგი ფრანგული რევოლუციის იდეოლოგიის მსგავსად, ხალხს და სახელმწიფოს ერთმანეთთან აიგივებდა. ამგვარი გაიგივების შედეგია: "ნაციონალური სახელმწიფო", "გაერთიანებული ერები", ან გვიანდელი მეოცე საუკუნის პრეზიდენტების რიტორიკა. აშშ-ს ადრეულ პოლიტიკურ დისკურსში დომინირებდა ცნებები "ხალხი", "კავშირი", "კონფედერაცია", "ჩვენი საერთო მიწა", "საჯარო სფერო", "საჯარო კეთილდღეობა" და

[1] Lluis Garcia I Sevilla, "Llengua, nacio I estat al diccionario de la real academia espanyola" (L'avenc, 16 მაისი 1979, გვ. 50-55).

"ერთობა", რათა თავიდან აეცილებინათ "ერის" ცნების ცენტრალიზებული და გამაერთიანებელი ქვეტექსტები.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გარეშე დამკვირვებლისათვის რთულია აიხსნას, თუ რა ნიშნებით უნდა განვასხვაოთ ერი ადამიანთა სხვა ერთობებისგან. მაგალითად, როგორ ავუხსნიდით სხვას ამოიცნოს ფრინველი, ან რით გაარჩიოს ერთმანეთისგან თაგვი და ხვლიკი. ნაციებზე დაკვირვება მარტივი იქნებოდა ფრინველებზე დაკვირვებას რომ ჰგავდეს.[2]

ერის თანამედროვე თეორიათა უმეტესობა ფენომენოლოგიურია, ხდება გარეგან ნიშანთა, ანუ ერის ეფექტების აღწერა და ერთა ურთიერთმიმართება შეისწავლება არა ერის არსიდან გამომდინარე, არამედ ერთა ეფექტების ურთიერთშედარებით და მისი შინაარსი ორი, პოტენციურად დამოუკიდებელი მოვლენის მსგავსება-განსხვავების მითითებით ამოიწურება.[3]

ერის დეფინიციაზე საკუთარი მოსაზრება აქვს ადამ სმითსაც, რომელმაც თავის უდიდეს ნაშრომში, ერი როგორც მხოლოდ ტერიტორიული სახელმწიფო ისე მოიხსენია.

ერს ორი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს - ეთნიკური და ზოგადი (პოლიტიკური). ეთნიკური მნიშვნელობით ერი ეთნოსის არსებობის ფორმასა და სოციალურ ორგანიზაციას აღნიშნავს, ხოლო ეროვნება გამომხატველია ეთნიკური მიკუთვნებულობის. რაც შეეხება პოლიტიკურ მნიშვნელობას, ერის ცნება საერთოდ არ ემთხვევა ეთნიკური მნიშვნელობის ერის ცნებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ქვეყნის თითქმის მთელ მოსახლეობას ერთი ეთნოსი შეადგენს (მაგ., იაპონია, კორეა). პოლიტიკური მნიშვნელობით ერის განსაზღვრა სირთულე არაა, ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა ერია, მიუხედავად

---

[2] ჰობსბაუმი ე., „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2012 წ., გვ.5

[3] ხვიჩია ე., "ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნესეოლოგიური პრინციპი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1997 წ. ქუთაისი. გვ. 4

მათი წარმომავლობისა, რელიგიისა, კანის ფერისა და სხვა. გაცილებით რთულია ერის განსაზღვრა ეთნიკური მნიშვნელობით, ე.ი. რომელი ეთნოსი შეიძლება იწოდებოდეს ერად და რატომ.

ლიბერალური პარადიგმის მიხედვით, ერი (სიცოცხლისუნარიანი, დიდი ერი) XIX საუკუნის შუა ხანებში მიღწეული ევოლუციის შემდეგი ეტაპი იყო. მცირე ერთობები რომელთაც თავიანთ წარსულში არაფერი ღირსშესანიშნავი არ მოეპოვებოდათ მზად იყვნენ უფრო დიდ ერებთან ასიმილაციისათვის. ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის ბენედიქტ ანდერსონის ფორმულირებით ერი "წარმოსახვითი საზოგადოებაა", რომლის მიხედვით ერის ზემოხსენებული განსაზღვრება ემოციურ ვაკუუმს ავსებს, რაც, თავის მხრივ, ადამიანთა ნამდვილი ერთობების და კავშირების უკან დახევის, დაშლის ან მიუწვდომლობის შედეგად წარმოიშობა.

ერის ცნების კვლევა რეალისტური სკოლის პარადიგმაშიც ფიქსირდება, სადაც, ხშირ შემთხვევაში, ის სრულად არ არის გამიჯნული სახელმწიფოსგან პოლიტიკური ერთობების აღსანიშნავად, რომელთა სუვერენიტეტი აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ერთან გაიგივებას ორი განსხვავებული კონცეფცია უდევს საფუძვლად. პირველი, რევოლუციური კონცეფცია სახელმწიფოს ხალხთან აიგივებს, რომელიც გაერთიანებული ერით არის წარმოდგენილი; ეს არის აბატ სეიესის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულება. მეორე, რომანტიკული კონცეფცია გულისხმობს ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, როგორც წინასწარ არსებული რომელიმე ერთობიდან მომდინარეს, რომელიც სხვებისგან ბუნებრივად მიჩნეული კავშირებით განსხვავდება.[4]

[4] სენარკლენი პ. დ., არიფ ენი ი. "საერთაშორისო პოლიტიკა". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ. გვ. 26

კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ ერი და ეროვნებაც სოციალური კონს- ტრუქციაა, რომლებიც შეიქმნა დროსა და სივრცეში. მათ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ეროვნულობა გავრცელდა XIX საუკუნეში განათლების და ბეჭდვითი კულტურის გავრცელებასთან ერთად და გახდა საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობა.[5]

ზემოთ მოყვანილი განსხვავებული მოსაზრებები ადასტურებს, რომ სამეცნიერო სივრცეში საყოველთაოდ აღიარებული ერის კონცეფცია არ არსებობს. მკვლევართა დიდი ნაწილი ვერ თანხმდება იმ აუცილებელ და საკმარის ნიშნებზეც, რასაც საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს, რომ ის ერად იწოდებოდეს. საბჭოთა ლიტერატურაში ეყრდნობოდნენ მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს. ი. სტალინის განსაზღვრების მიხედვით "ერი არის ადამიანთა მყარი ისტორიული ერთობა, წარმოშობილი ერის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობისა და ფსიქიკური ერთობის წყობის ბაზაზე, რომლის გამოვლინებაც კულტურაშია (ი. სტალინი, ტ. 2. გვ. 319). ამ განმარტებით ერს 4 ნიშანი აქვს - საერთო ტერიტორია, საერთო ენა, საერთო ეკონომიკური წყობა და საერთო ფსიქიკური წყობა.[6] სტალინის განმარტება შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიც ფსიქიკური ფაქტორი იყო, მაგრამ მან ვერ შეძლო ცხადად განესაზღვრა მისი მნიშვნელობა.

ტერიტორიული ერთობა პირველი ნაბიჯია ერის შემდგომი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური გაერთიანებისაკენ. ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის ზოგადსახელმწიფოებრივი ხასიათის მიუხედავად, გეოგრაფები დიდ ყურადღებას უთმობენ მის ლოკალურ დონეზე გამოვლინებების შესწავლას. ბევრი მეცნიერის, განსაკუთრებით ჰუმანისტ-გეოგრაფების მტკიცებით ნაციონალიზმი ადგილობრივ დონეზე იღებს სათავეს და მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს სახელმწიფოებრივ მასშტაბს. ადამიანის სიყვარული, ლოიალობა საკუთარი

[5] აკობია, ე. "საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", გამოცემულია `სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის" მიერ. 2016 წ. გვ. 49

[6] ზ. დავითაშვილი - "ნაციონალიზმი და გლობალიზაცია", გამომც. "მეცნიერება". თბილისი 2003 წ. გვ.12

სამშობლოს, ერის მიმართ დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან. ეს ადგილები მეტწილად ერის დიდების და მდიდარი კულტურული წარსულის მონუმენტებია. დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ სცადეს დაედგინათ თუ რა ფენომენს წარმოადგენდა ერი და გაეცათ პასუხი ამ კითხვაზე. გამოსარჩევია ფრანგი მწერლისა და ისტორიკოსის ერნესტ რენანის განმარტება, რომლის მიხედვით "ერი არის დიდი სოლიდარობა. მის საფუძველშია წმინდა გრძნობები გაღებული მსხვერპლისა წარსულში და იმ მსხვერპლისა, რომელსაც მომავალში გაიღებს. ერი გულისხმობს გმირულ წარსულს, ერთიან ნებას აწმყოში და მოქმედების საერთო პროგრამას მომავალში. ერის არსებობა ყოველდღიური პლებისციტია".[7] ასეთმა მსჯელობამ მარტივად შეიძლება ვოლუნტარიზმის ექსტრემალურ და წინდაუხედავ მოსაზრებებამდეც მიგვიყვანოს, რომლის მიხედვითაც ადამიანთა ნება იქნება ერთადერთი რაც ერად ყოფნისთვის, მისი ჩამოყალიბებისთვის ან აღდგენისთვის იქნება საჭირო. აღნიშნული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს, კერძოდ, გარედან დაკვირვებით ექსპერიმენტულად შეუძლებელია გავზომოთ თუ რომელმა გრძნობამ გამოიწვია ერის, როგორც ერთობის მოქმედება, ჩვენ მხოლოდ მოქმედების შედეგის დანახვა შეგვიძლია. ერის იდენტიფიკაცია კი შესაძლებელია მხოლოდ მისი ქცევათა მოდელების გამოვლინებით და არა ისტორიული ნარატივებით. ეროვნების თვისება საზოგადოებრივი ერთობების ქცევათა დომინანტურ მოდელებში გამოიხატება. რენანის დეფინიცია რასაკვირველია შორსაა მეცნიერული განსაზღვრისაგან, მაგრამ იგი მოიცავს ორ მნიშვნელოვან ელემენტს. პირველი, რომ ერი განხილულია როგორც ცოცხალი ორგანიზმი და არა საერთო ნიშნების ერთობლიობა, ხოლო მეორე იმ ფაქტის ხაზგასმაა, რომ ერი მხოლოდ ის ეთნოსია, რომელსაც ერთიანი ნება და მომავალი ქმედების საერთო პროგრამა აქვს.

ერთ-ერთი პირველი ვინც სცადა ერის ცნება დაეკავშირებინა სახელმწიფოსთან იყო მაქს ვებერი. იგი ერს განიხილავს, როგორც პოლიტიკურ კატეგორიას, რომელიც

[7] Renan E. "WHAT IS A NATION? AND OTHER POLITICAL WRITINGS" Columbia University Press, New York, 2018. p. 27

უნდა განისაზღვროს მხოლოდ სახელმწიფოსთან მიმართებაში. მისი აზრით, ერი გრძნობათა ერთობლიობაა, რომელმაც ადეკვატური გამოხატულება მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოში უნდა ნახოს. იგი ერს სახელმწიფოზე წინ აყენებს და ავითარებს მოსაზრებას, რომ ერი არსებობს იქ, სადაც ხალხს სჯერა, რომ ის ერია და აქვს მისწრაფება შექმნას სახელმწიფო.[8] მისი აზრით, ერი ფორმირდება მხოლოდ მაშინ, როცა ის გააცნობიერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და იბრძვის მისთვის. ვებერის ამ განმარტების ბუნდოვანებას, ადასტურებს თანამედროვე ქურთების მდგომარეობა, რომელთაც საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ, მაგრამ ერს წარმოადგენენ. მათ აქვთ მისწრაფება ჰქონდეთ სახელმწიფო, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ.

მარქსიზმი უარყოფითად შეხვდა აზრს, რომ სახელმწიფოებრიობა ერის აუცილებელი მახასიათებელია. სტალინმა 1929 წელს უარყო, რომ ერის განმარტებაში ჩართული ყოფილიყო საკუთარი სახელმწიფოს არსებობის ნიშანი, რადგან ამ შემთხვევაში ყველა დამონებული ხალხი, რომელსაც წართმეული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა უნდა ამოშლილიყო ერის კატეგორიიდან. საწინააღმდეგო პოზიცია იყო დასავლურ სამეცნიერო საზოგადოებაში, რომლებიც სახელმწიფოსა და ერს ერთმანეთთან აიგივებდნენ. ამერიკელი სოციოლოგი კარლ დოიჩი პირდაპირ აცხადებდა, რომ ერი ის ხალხი იყო, რომელსაც სახელმწიფო ჰქონდა. იმავე აზრზე გახლდათ ესპანელი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა-გასეტი, რომელმაც ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ გერმანელი, ფრანგი, იტალიელი და თავად ესპანელი ერები მაშინ ჩამოყალიბდნენ, როდესაც საკუთარი სახელმწიფო შექმნეს.

ინგლისელი სოციოლოგი ენტონი სმიტი ერების ორ ტიპს გამოყოფს - ეთნიკურსა და ტერიტორიულს. პირველის საფუძველი კულტურული ერთობაა, სადაც თვითშგნების ზრდისა და პოლიტიზირების შედეგად ჩნდება საკუთარი სახელმწიფოს შექმნის მისწრაფება. მისი შეფასებით ერები თანამედროვე

[8] Weber-The Nation: Origin and Debate - https://blogs.ubc.ca/socialtheory/2018/02/10/weber-the-nation-origin-and-debate/

პოლიტიკური კონსტრუქციებია, მაგრამ არბილებს ამ არგუმენტს და ხაზს უსვამს, რომ ერები საწყის ეთნიკურ საფუძველს ემყარება, მაშინაც კი, როდესაც ყველა ეთნოსი ერებს უცილობლად არ მოიცავს..[9]

რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი ერს განმარტავს როგორც უპირატესად ისტორიულ, კონკრეტულ-ისტორიულ და არა აბსტრაქტულ-სოციოლოგიურ კატეგორიას. მისი აზრით, ერი არის სრულიად თავისებური ისტორიული სინამდვილის წარმონაქმნი და მისი საიდუმლო მიუწვდომელია მათთვის, ვინც სრულიად მოკლებულია ისტორიული სინამდვილის გრძნობას და მთლიანად ჩაფლულნი არიან აბსტაქტულ-სოციოლოგიურ კატეგორიებში.[10] ბერდიაევი მიიჩნევს, რომ ერი არ ექვემდებარება რაიმე რაციონალურ განსაზღვრებას და ვერანაირი რაციონალური განსაზღვრება მას ვერ ამოწურავს - არც ენით, ტერიტორიით, რელიგიით არ განისაზღვრება ერის ყოფა.

სპეციალისტები განასხვავებენ ერების ორ ტიპს: პირველი - ერები, რომლებიც წარმოიშვნენ უშუალოდ მოდერნიზაციის პროცესის შედეგად და მეორე - ერები, რომლებიც შეიქმნენ პარადიგმული მოდელის მიხედვით და წარმოადგენენ ნაციონალიზიმის პროდუქტს.

ერი-სახელმწიფოები თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მძაფრი გამოწვევების წინაშე დგანან. უპირველეს ყოვლისა, იზრდება მოძრაობა დამოუკიდებლობის ან პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. ამ მოთხოვნებს საფუძვლად უდევს "ხალხთა თვითგამორკვევის" უფლება, რომელსაც ყველა მხარე თავისთვის სასურველ ინტერპრეტაციას უკეთებს.

გლობალიზაციის პროცესმა რადიკალურად შეცვალა ერი-სახელმწიფოების მდგომარეობა. გლობალიზაცია თავისი არსით სახელმწიფოების არსებობის

---

[9] სენარკლენი პ. დ., არიფ ენი ი. "საერთაშორისო პოლიტიკა". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 გვ. 28

[10] ბერდიაევი ნ., "ერი და კაცობრიობა", კავკასიური სახლის გამომცემლობა. 2018 წ. გვ. 20

წინააღმდეგია. მსოფლიოში ერთიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას ხელს უშლის სუვერენული ქვეყნების არსებობა. ნაციონალური მთავრობებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. პირველი ხელმძღვანელობს ეროვნული მოტივებით, რომელშიც ფარულად თუ აშკარად პრევალირებს ეროვნული ინტერესები, ხოლო სუპრანაციონალური ეკონომიკური სტრუქტურები მოგებაზე არიან ორიენტირებულნი. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადამიანის უფლებების დაცვას, რისი განუყოფელი ნაწილიც უმცირესობების დაცვაა. ადრე აღინიშნა, რომ უმცირესობების პოლიტიკური და კულტურული მოძრაობები დიდ პრობლემებს უქმნიან ტრადიციული ტიპის სახელმწიფოს, უფრო მეტიც, ისინი მას ასუსტებენ. ცნობილი თეზისი, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება სახელმწიფოების ტერიტორიული ერთიანობის წინააღმდეგ, სხვაგვარად შეიძლება მოინათლოს, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები ერი-სახელმწიფოების წინააღმდეგ.

დღეისათვის ერი-სახელმწიფოს დეფინიციაც კი პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რადგან შესაძლებელია ერთსა და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამოდენიმე ერი არსებობდეს და ეს ერები არ იყვნენ ფორმალურად აღიარებულნი. მაგალითისათვის ბასკები ესპანეთში ფორმალურად არიან აღიარებულნი, მაგრამ განსხვავებული ვითარებაა გასკონიაში, სადაც გასკონელები ერად არ კლასიფიცირდებიან. აღსანიშნავია ის, რომ გასკონელები და ბასკები სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლებულნი ერთობები და ერთი ეთნიკური წარმომავლობის არიან.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე დღესაც რთულია განიმარტოს თუ რას წარმოადგენს ერის ფენომენი, მაგრამ მის ახსნას გვთავაზობს ქართველი მეცნიერი ემზარ ხვიჩია თავის მეცნიერულ პროდუქტ კვანტურ-რელატივისტურ ნოოლოგიაში, რომელიც დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის თანმიმდევრული გაგრძელებაა. უზნაძისეული განმარტება განწყობას წარმოგვიდგენს როგორც გარეგან სინამდვილესა და ფსიქიკურ ფუნქციებს შორის შუამავალ რგოლს, სუბიექტის

სიმთელის მოდუსს. უზანაძის მიხედვით, განწყობა პირველადი ფაქტორია, რომელთან მიმართებაში ინდივიდში მიმდინარე ყველა ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური პროცესი მეორეული ხასიათისაა.

უზნაძე განწყობის, რომლის მიხედვით ნებისმიერი განწყობა მოხსნად-აღდგენადია, ხოლო ემზარ ხვიჩიამ აღმოაჩინა, რომ განწყობის შინაარსში არსებობს საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი, რომელიც არ ექვემდებარება მოხსნა-აღდგენას.[11] ავტორის მიხედვით, საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი, ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნის პირობებში 4 ნოოსფერული სტიქის სახით წარმოგვიდგება (მართვის მანია, ფორმის მანია, ძლევის მანია და ცხრომის მანია, რომლებიც შესაბამისი მოცემულობებით ხასიათდებიან). ნოოლოგიური გადაგვარებულობის მოხსნა, არის განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მისი ოთხიდან ერთ-ერთზე შესაძლო მნიშვნელობით დაფიქსირება, რაც განასხვავებს პიროვნებას სუბიექტის სხვა, ბიოლოგიური ინდივიდის ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობით წარმოდგენილი მოდუსებისაგან.

ერი (ავტორისავე ალტერნატიული ტერმინით - ნოოსი) ერთი და იმავე ნოოტიპის პიროვნებათა ერთობლიობაა, რომლიც თავის მხრივ, მორიგი თაობის ინდივიდების ამგვარივე ფსიქიკური გარდაქმნისადმი დამქვემდებარებელ გარემოს წარმოადგენს. ავტორი ერის (ნოოსის) კატეგორიას განსაზღვრავს როგორც განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალურ ნოოსფერულ ეფექტს, რომელიც არის განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის, თავის ერთ-ერთ შესაძლო მნიშვნელობაზე (ნოოსფერულ სტიქია) დაფიქსირებულობის პირობებში, სუბიექტის მოქმედების პროცესზე და მოქმედების შედეგზე გავლენის გამოხატულება ზოგადი მახასიათებლებით წარმოდგენილი, იგივე ნოოსფერული სტიქიის ეფექტი. ყოველი კონკრეტული ერი ამ ეფექტის კერძო

[11] ხვიჩია ე., "ნოოლოგია თვითკმარი არსებობის ლოგიკა: საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები", გამომცემლობა "ახალი პარადიგმა".2020 წელი. გვ 11.

ფენომენია. სხვა სიტყვებით, ერი საზოგადოების წევრების განწყობის შინაარსის საერთო მოუცილებადი კომპონენტით განსაზღვრული ერთიანი შეუჩერებელი აქტია. განსხვავებული ნოოტიპის პიროვნებათა თანაარსებობა შესაბამისი ნოოტიპის ერების ურთიერთობის მოვლენის საფუძველია, რისი უმაღლესი გამოხატულება ცივილიზაციის (ავტორისეული ალტერნატიული ტერმინოლოგიით - ნოოცენოზის) ფენომენია.

ცივილიზაცია (ნოოცენოზი), ავტორის მიხედვით, არის თვითრეგულირების ზოგადი კანონების გამოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რისი უმაღლესი გამოხატულება - ცივილიზაციური (ნოოცენოზური) ფაზების ცვლა - სხვადასხვა ნოოტიპის ერების სისტემურ ფუნქციებთან არის დაკავშირებული და ისტორიის ლოგიკის განმსაზღვრელია და გვიხსნის ინფორმაციის, როგორც მთავარ ატრიბუტს ამ პროცესში.

თუმცა, ეს გარემოება სულაც არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ სხვა ფსიქოტიპის ადამიანთა წარმომადგენლებიც არსებობდნენ კონკრეტული ნოოტიპის ერში. აღსანიშნი ფაქტია, რომ კონკრეტულ ერში დომინანტურ ელემენტს ერთი ფსიქოტიპის ერთობა წარმოადგენს და სწორედ მათი დომინანტობა ხდება მაკონსოლიდირებელი ფაქტორი ამა თუ იმ ტიპის ერად ჩამოყალიბების პროცესში.

მკვლევარი გვთავაზობს ერისა და ცივილიზაციის ახალ დეფინიციებს, რომლის თანახმად, ისინი ფსიქიკური ფაქტორით განპირობებული, მატერიალიზებული ფენომენებია. ავტორი ყურადღების ცენტრში აქცევს პიროვნების უნაწევრო სიმთელის მომენტს. მკვლევარი გაცილებით წინ მიდის და ახერხებს უნაწევრო სიმთელის სტრუქტურის იდენტიფიკაციას. შედეგად, იგი ადამიანის ფსიქიკის მანამდე უცნობ მოცემულობებს, ფაქტორებს და მის ფუნქციას გვაჩვენებს, როგორც ინდივიდის, ასევე ერისა და ცივილიზაციის დონეზე.

ერების და პიროვნების ნოოტიპური დიფერენცირებულობა ამხსნელია მრავალ აქტუალურ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა. მათ შორის, ერის დეფინიციის საკითხიცაა. ოთხი ფუნდამენტური ნოოტიპური პარადიგმა, ამ ფაქტის

გაუცნობიერებლობის პირობებში, მათი სხვადასხვაგვარი კომპოზიციების არსებობის შესაძლებლობას, ვარიანტების მთელს ოთხგანზომილებიან სივრცეს გვაძლევს.

ე. ხვიჩიას დასკვნით, ერი წმინდად ფსიქიკური სფეროს ფენომენია და ბიოლოგიური წარმომავლობა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების მოცემული ერის წევრად დადგენას, საამისოდ აუცილებელია ადამიანმა გაიაროს მოცემული ერის წევრად მაფორმირებელი პროცესი, რაც ერის კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის ათვისებას გულისხმობს. შესაბამისად, რომელი ერის მემკვიდრეობის ათვისების კონკრეტულობითაც გაივლის ამ პროცესს ფიზიკური პირი, სწორედ იმ ერის წევრად ჩამოყალიბდება იგი.[12]

დასკვნა

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე აუცილებელია არსებული ცოდნისა და იდეების შეჯერება. მეცნიერება დღითიდღე ვითარდება და ახალ პერსპექტივებს გვთავაზობს, შესაბამისად ხდება მთელი რიგი საკითხების გადააზრება, რომელმაც შესაძლოა ფუნდამენტური ძვრები გამოიწვიოს სხვადასხვა სფეროში. აქამდე არსებული შეხედულებები, რომელიც ეხებოდა ერის დეფინიციის პრობლემას, კვლავ აქტუალურია. ქართული სამეცნიერო სკოლის ახალი პროდუქტი "კვანტური რელატივისტური ნოოლოგია" ერს განიხილავს როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის პირმშოს, რაც ახალი მიდგომაა მისი უნიფიცირებული განმარტების.

[12] ხვიჩია ე. - "ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია", გამომც. "ნეკერი" თბილისი 2004. გვ. 34

ერის ფენომენის ფუნდამენტური ახსნა და მისი მეცნიერული განმარტება, რაც ყოველგვარ მიკერძოებულობას გამორიცხავს, ზემოხსენებულ პრობლემურ საკითხს საბოლოოდ გადაჭრის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხვიჩია ე., "ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია". თბილისი: ნეკერი. 2004 წ.
2. ხვიჩია ე., "ნოოლოგია თვითკმარი არსებობის ლოგიკა: საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები", გამომცემლობა "ახალი პარადიგმა". 2020 წ.
3. ხვიჩია, ე., "ერი როგორც ფილოსოფიური კატეგორია და ონტოლოგიურ-გნესეოლოგიური პრინციპი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1997 წ. ქუთაისი
4. ჰობსბაუმი, ე. „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან". თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ.
5. დავითაშვილი ზ., "ნაციონალიზმი და გლობალიზაცია". თბილისი: მეცნიერება. 2003 წ.
6. სენარკლენი პ. დ., არიფენი ი. "საერთაშორისო პოლიტიკა". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2014
7. სლეზკინი ი., "საბჭოთა კავშირი როგორც კომუნალური ბინა, ანუ როგორ ახალისებდა საბჭოთა კავშირი ეთნიკურ განსაკუთრებულობას.", Slavic Review, ტომი 53, ნომერი 2 გვ. 414-452. 1994 წ.
8. ფრიდონაშვილი ქ. , "იდეოლოგია, ერი და სახელმწიფო", სამართალი და ეკონომიკა, 4-21. 2014 წ.
9. კაკიტელაშვილი ქ., წერეთელი ი., "კულტურა და სამართალი", თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2006 წელი
10. ბერდიაევი ნ., "ერი და კაცობრიობა", კავკასიური სახლის გამომცემლობა. 2018 წ.
11. Anderson B. "Imagined Communities Reflections on the Origin and Spread of Nationalism". published by Verso 2006
12. Armstrong, John Alexander, "Nations before nationalism". The University of North Carolina Press 1982
13. Anthony D.Smith "Nationalism and Modernism (A critical survey of recent theories of nations and nationalism)" published by Routledge 1998
14. Renan E. "WHAT IS A NATION? AND OTHER POLITICAL WRITINGS" Columbia University Press, New York 2018

View publication stats